საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა:

- საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საკითხი ა) ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გამჭირვალობისა და ღიაობის დაცვის უზრუნველყოფის გაზრდა. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საკანონმდებლო წინადადებების წარდგენის თუ რიგ სფეროებში სახელმწიფო განვითარების ტენდენციების გაცნობა/ შეფასების მიზნით, არც თუ იშვიათად ადმინისტრაციული ორგანოებიდან ვითხოვ ხოლმე საჯარო ინფორმაციას, რომელიც ალბათ სხვა პირთა შემთხვევაში საუკეთესო შემთხვევაში ნაწილობრივ კმაყოფილდება ან საერთოდ არ კმაყოფილდება. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, პირადად მე მოხარული ვიქნები თუ იგი განპირობებული იქნება - იმ რისკების შემცირებაზე, რომელიც სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული თუ პირადი საიდუმლოებით შეიძლება დადგეს. თუმცა, არ უნდა გამოირიცხოს არც ის შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის გაუცემლობა დაკავშირებულია ადმინისტრაციული ორგანოს არასათანადო მუშაობის დაფარვასთან. ამ პროცესში კანონმდებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფოს საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ხდება მმართველობით პროცესში გამჭვირვალეობისა და ღიაობის პრინციპის დაცვა, რაც თავის მხრივ, განაპირობებს საზოგადოების მხრიდან ნდომის მაღალ ხარისხს. თუმცა, მონაცემთა მოპოვება ასევე უნდა განვიხილოთ - როგორც ახალი პროექტების შემუშავების მიზანი, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო განვითარებაში ფიზიკურ პირთა თუ სამოქალაქო სექტორის სათანადო ჩართულობას. სწორედ, რომ საჯარო ინფორმაციის დროულად ან საერთოდ მოუპოვლებლობის ტენდენციების ფონზე და საკანონმდებლო წინადადებების მეტი ინტენსივობით წარდგენის სურვილით, მონაცემთა გაზიარების სურვილით მივმართე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას (საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებიდან 26/04/202- დან დღემდე სხვადასხვა სახის დამუშავების მიზნით საჯარო დაწესებულებისთვის



საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს №: 1-329/24
"16" 01 2024 ფურცელი

მიმართული მაქვს რამდენიმე ათეული განცხადებით). მოლოდინს გადააჭარბა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოწოდებული ვებ გვერდის ინტერნეტ ბმულმა - http://www.foi.idfi.ge/, სადაც თვალსაჩინოდ იძებნება მათ მიერ სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოდან ინფორმაციის მიღების პროცესი (ვადების დაცვა, დასმული კითხვები და მისი შინაარსი, მიღებული პასუხები). თავისთავად უპირველეს ყოვლისა მოხდა ჩემი ყოფილი სამსახურიდან მოპოვებული ინფორმაციის დათვალიერება, რა დროსაც შევამჩნიე სიტყვებით ერთვარი თამაში, რომელიც ამ საკანონმდებლო წინადადებით დასახული მიზნის შესრულება შესაძლოა მეტად არგუმენტირებული გახადოს. კერძოდ, მოთხოვნილ ინფორმაციაზე (2019-2022 წლებში (ცალ-ცალკე საწყისი 6 თვის შესაბამის პერიოდებში) საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების სტატისტიკა ქვეყნების და დაყოვნების პერიოდების მიხედვით) 01/22626 28/07/2022 წერილით (თან ერთვის) 25 დღიანი ვადაგადაცილებით ეცნობა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში არ არის დაცული მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ვინაიდან სამინისტრო არ აწარმოებს საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების აღრიცხვას/სტატისტიკას[1]. აქვე, შესაძლოა მართლაც სამინისტრო არ აწარმოებდეს ყოველი 6 თვეში ფიქსირებულ მონაცემებს, თუმცა მოცემული წინადადების ბოლო ნაწილი ვფიქრობ, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც საგარეო საქმეთა სამინისტროს 08/12/2009 255 ბრძანებით დამტკიცებული საკონსულო დეპარტამენტის დებულების (ძალა დაეკარგა 01/11/2023) მე-2 მუხლით, საკონსულო დეპარტამენტის ერთ-ერთ ფუნქციას საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციულ გადაადგილებასთან დაკავშირებულ საკითხთა შესწავლა წარმოადგენს, ხოლო აღნიშნული ამოცანის შესრულებისათვის, ისევე, როგორც ამავე დებულებით გათვალისწინებული საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან საქართველოს სავიზო ურთიერთობების შესწავლა, სწორედ, რომ მოქალაქეთა საერთო რაოდენობის ცვლილებებთან ერთად, ქვეყანაში შესვლა-გასვლის სტატისტიკური მონაცემებით გამოწვეული ტენდენციების შეფასება უნდა იყოს. მსგავსი ხარვეზები სულაც შეიძლება არ იყოს გამოწვეული მოხელის მიერ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების უგულვებელყოფით[2], არამედ იმ ხელმძღვანელი პირის

---

[1] საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი - ინფორმაცია ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეების მხრიდან კრიმინალის გაზრდილი სტატისტიკის შესახებ, რუსული პროპაგანდის შედეგია https://1tv.ge/news/batumis-universitetshi-uvizo-mimosvlis-shesakheb-sainformacio-shekhvedra-gaimarta/

[2] საგარეო საქმეთა მინისტრის 01-128; 08/07/2020 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმისწარმოების ინსტრუქციის მე-20 მუხლის თანახმად:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მინისტრის ბრძანებით ინიშნება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობას;

არასწორი ინტერპრეტირებით ან მონაცემთა გაცემის შეზღუდვის სურვილით, რომელიც განპირობებული შეიძლება იყოს არასახარბიელო შეფასების თავის არიდებით. ამავდროულად ავღნიშნავ, რომ როგორც ჩემს მიერ (წერილი 01/11/2022 01/33169), ასევე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩემს მიერ განსახორციელებული კვლევის ფარგლებში (წერილი 06/03/2017 01/8004) ჩემთვის გამოთხოვილ საკონსულო თანამდებობის პირთა საანგარიშო ფორმა მათ შორის ითვალისწინებს ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს შემდეგ საკითხებზე - რომლებიც ალბათ უკავშირდებოდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ინტერესის საგანს:

- საქართველოს მოქალაქეთა საერთო რაოდენობა;
- საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც შევიდნენ ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე;
- საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც დატოვეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორია;
- დეპორტირებულ, ექსტრადირებულ, რეადმისირებულ პირთა რაოდენობა;
- გადმოყვანილ მსჯავრდებულთა რაოდენობა.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშგებით გათვალისწინებული მონაცემების მოთხოვნით თავადაც მივმართე საგარეო საქმეთა სამინისტროს, რაზედაც არც შუალედური თუ საბოლოო პასუხი მიმიღია, მათ შორის მონაცემების გაცემაზე უარის წერილი. ამას გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ვებ გვერდზე განთავსებული მიგრაციის პროფილები[3], რომლებიც არც ერთ შემთხვევაში არ შეიცავენ ზემოხსენებული მონაცემებს ან მის შეფასებას, რაც სავარაუდოდ მონაცემთა არასრული ფლობით შეიძლება იყოს განპირობებული (შესაბამისად, ამ მიმართულებით მონაცემთა გაუცემლობა - შესაძლოა არსებული ხარვეზებით იყოს განპირობებული). თუმცა, საჯარო ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში აქ არ უნდა იყოს საუბარი მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებების შეფასებაზე ან მოქალაქეთა ან სამოქალაქო სექტორის მიერ ახალი პროექტების განხორციელებაზე, არამედ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის იმ მოთხოვნის შეუსრულებლობაზე, რომელიც ეკონომიურობას და ეფექტიანობას[4] ან/და დისკრიმინაციის დაუშვებლობას[5] უკავშირდება. იმ ვითარებაში,

---

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის მერ, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით **გამოთხოვილი ინფორმაცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მიწოდებული უნდა იქნას დაუყოვნებლივ;**

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე, თუ ვერ ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაუყოვნებლივ მიწოდება, სტრუქტურული ერთეული წერილობითი ფორმით ატყობინებს მას** აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებისა და მიწოდებისათვის საჭირო სავარაუდო პერიოდს;

5. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე აწარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო რეესტრს.

[3] https://migration.commission.ge/index.php?article_id=117&clang=0

4 მუხლი 10. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში

როდესაც არ არსებობს არც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ერთიანი ოფიციალური გზამკვლევი[6] ინფორმაციის მოპოვების მსურველი პირისათვის, გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის გამოვქვეყნებით (დამუშავებული ინფორმაციის და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობით), გამარტივდებოდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის პროცესი (ამ საკითხის განხილვისას ასევე უნდა გავითვალისწინოთ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაციის არასათანადო დონით გამომდინარე გამოწვევა) ან/და მისი გადაწყვეტის საჭიროება. ვფიქრობ, რომ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული მონაცემების პროაქტიულად გამოქვეყნება მოცემულ გამოწვევებს სათანადოდ უპასუხებდა. ალბათ საინტერესოა თუ რას ამბობენ რიგი სამართლებრივი აქტები ამ კუთხით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად:

- გამოქვეყნება ნიშნავს კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანას და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ასევე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება (2.1.ე);
- საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით.
- საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში **საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის,** საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია (35);

სავარაუდოა, რომ კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც ცალსახად არ შეიძლებაა, რომ გასაიდუმლოვდეს (თუმცა, მიუხედავად ამისა - საგარეო საქმეთა სამინისტრო, მიუხედავად არაერთგზის მიმართვისა, არ ასაჯაროებს აუდიტორული შემოწმების ანგარიშებს) არ ქვეყნდება ადმინისტრაციული ორგანოების ვებ გვერდზე, რადგანაც საკანონმდებლო დონეზე არ არის გათვალისწინებული ხსენებული ინფორმაციის ვებ გვერდზე განთავსების საკანონმდებლო დონეზე ვალდებულება (შესაბამისად ხდება არსებული მიზნების ირიბად აცილება).

ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

[5] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია:

ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას;

ბ) სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს;

გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

[6] ცალკეულ საჯარო დაწესებულებების ვებგვერდებზე განთავსებულია მოკლე ინსტრუქციები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით, აღნიშნული ძირითადად კანონის მოთხოვნების დუბლირებას წარმოადგენს

- ინფორმაციის თავისუფლება მსოფლიოს ყველა კონტინენტზე აღიარებულია ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად:
  - 1948 წელს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლში, ინფორმაციის მიღების უფლებამ შემდეგი ფორმულირება ჰპოვა: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად".
  - სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი5 კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელმაც ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება აღიარა. დოკუმენტის მე-19 მუხლში ნათქვამია: „თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით".
  - სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი5 კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელმაც ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება აღიარა. დოკუმენტის მე-19 მუხლში ნათქვამია: „თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით".
  - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 6 ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის უფლებას. კონვენციის მე-10-ე მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრებს მიუხედავად".
  - საგულისხმოა, რომ ინტერნეტ საიტებზე საჯარო ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების სიმწირეს, ერთგვარად, ავსებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2005 წლის 24 ივნისის #550 ბრძანებულებით (ძალა დაეკარგა 04/06/2010-ს) დამტკიცებული საქართველოს ერთიანი ანტიკორუფციული სტრატეგია. სტრატეგიის 2.3 მუხლის თანახმად საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება გაეტარებინა ღონისძიებები საჯარო ინფორმაციის გავრცელების ელექტრონული სისტემის შესაქმნელად. კერძოდ: უნდა განვითარდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ ამსახველი და მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიღების წყაროები და ამით ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის.

თუმცა, სტრატეგიით განსაზღვრულმა მიზანმა ჯერჯერობით ერთიანი მოქმედების ფორმა ვერ შეიძინა, რადგან ხსენებული სტრატეგიის განსახორციელებლად საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 2 ივლისი #363 განკარგულებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში მან ფრაგმენტული ხასიათი მიიღო. კერძოდ, მიღებულია კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ. ასევე, გეგმით გათვალისწინებულია ელექტრონული ხაზინისა და გადამხდელთა მომსახურების ელექტრონული სისტემის შექმნა. რაც შეეხება საჯარო დაწესებულებების საიტებზე განთავსებულ სავალდებულო მინიმუმს, ეს საკითხები ისევ ღიაა და გადაუწყვეტელი რჩება. უფრო მეტიც, არც ერთი კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფო დაწესებულებას იქონიოს საკუთარი ვებ-გვერდი. ერთადერთ გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 ივნისის #550 ბრძანებულება `საქართველოს ერთიანი ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ აგვარებს ელექტრონული გამჭვირვალობის პრობლემას საქართველოში[7];

- საქართველოს მთავრობამ აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, ღია მმართველობის რეფორმის ფარგლებში შექმნა ღია მონაცემთა პორტალი (**data.gov.ge**), რომელიც ღია ფორმატით წარმოადგენს ინფორმაციას სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, მათ შორის შესყიდვებისა და სახელმწიფო ხარჯების შესახებ.[8] პორტალს ადმინისტრირებას უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო. მიუხედევად ღია მონაცემების დამოუკიდებელი პორტალის არსებობისა, აღსანიშნავია, რომ **პორტალზე მონაცემთა განთავსება ნებაყოფლობითი ხასიათისაა, შესაბამისად, აღნიშნული პლატფორმა არ ფარავს ყველა სახელმწიფო უწყებას. ამასთან, ამ მიმართულებით დაბალია ცნობიერების დონე როგორც სახელმწიფო უწყებებში მონაცემთა განთავსების კუთხით, ისე ფართო საზოგადოებაში ვებგვერდის გამოყენების თვალსაზრისით.**[9] ამასთან, პორტალზე გამოქვეყნებული მონაცემების რაოდენობის ზრდას აფერხებს data.gov.ge-ის განახლების აუცილებლობა, რომელიც ამ ეტაპზე ტექნიკურად და სისტემურად მოძველებულია
- საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება რომ, შეიმუშავებს ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშების ერთიან ფორმას, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოთ-ხსენებული რეკომენდაციები.

ზემოხსენებული პრობლემის თუ გამოწვევის გადაჭრისათვის, იმ ფონზე, როდესაც - საჯარო დაწესებულებებს ვფიქრობ, რომ ისედაც ევალებად პროაქტიული ინფორმაციის პერიოდულად თავიანთ ვებ გვერდებზე განთავსება, მიზანშეწონილი იქნებოდა ასევე მათ მიერ განთავსდეს საჯარო ინფორმაციის რეესტრი (იმ ადმინისტრაციული ორგანოების ვებ გვერდზე, რომელმაც აწარმოა იგი), თავისთავად - პერსონალური მონაცემების დაფარვით/ დაშტრიხვით, ხოლო ინფორმაციის გასაიდუმლოების საჭიროების ან/და მონაცემთა

---

[7] https://idfi.ge/ge/freedom-of-information-and-internet-regulation-in-georgia

[8] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „ღია ადგილობრივი მმართველობის და საჯარო სამსახურში ეთიკის წესების შესახებ", გვ. 40. ხელმისაწვდომია აქ.

[9] ევროპის საბჭოს „ღია ადგილობრივი მმართველობის და საჯარო სამსახურში ეთიკის წესების შესახებ" სახელმძღვანელო, გვ. 40 ხელმისაწვდომია აქ.

დაზუსტების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს ექნება ვალდებულება, რათა განაახლოს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამავდროულად ღიაობის და რესურსის დაზოგვის მიზნით, სასურველი იქნებოდა ასევე თუ უკვე გასაჯაროებული ინფორმაცია (ინფორმაციის გაცნობის ფარგლებში) დანართის სახით აეტვირთება ვებ გვერდზე არსებულ ჩანაწერს (ფაქტიურად იგივე ფორმატით, როგორიც IDFI-ს ააქვს შემუშავებული). შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ვ" ქვეპუნქტი და 35-ე მუხლი სასურველია, რომ დარედაქტირდეს შესაბამისი ფორმით. მაგალითად შემდეგი რედაქციით:

- ⇨ გამოქვეყნება – კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის მონაცემთა გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრირებად ვებ გვერდზე განთავსების გზით, ასევე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;

- ⇨ 35-ე მუხლი:

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში;

2. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის/ ვადების დაცვის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია;

3. საჯარო რეესტრი, ამ კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებით გაცემული საჯარო ინფორმაციითურთ, პერსონალური მონაცემების თუ საჭიროებისამებრ - სახელმწიფო, კომერციული თუ პროფესიული საიდუმლოების ან/და პერსონალური მონაცმების შემცველი მონაცემების დაფარვით, ქვეყნდება მონაცემთა გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრირებად ვებ გვერდზე, მისი გაცემიდან ან/ განახლებიდან 10 დღის ვადაში.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted];
ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის
ადგილი: [redacted]

15/01/2024

Re: საჯარო ინფორმაციის გაზიარება

Info IDFI <info@idfi.ge>
Tue 1/9/2024 11:53 AM
To:niko nikoladze <nikonikoladze@hotmail.com>

მოგესალმებით ბ-ო ნიკოლოზ,

IDFI-ს საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი წარმოადგენს. შესაბამისად, წლების განმავლობაში IDFI-ს აქვს ათასობით წერილი გაგზავნილი საჯარო დაწესებულებებში. გიზიარებთ ჩვენი ვებ-გვერდების ბმულებს სადაც, შეგიძლიათ იხილოთ ბოლო წლებში გაგზავნილ წერილებზე მიღებული პასუხები, ასევე დამუშავებული მონაცემთა ბაზები.

https://www.datalab.ge/
http://www.foi.idfi.ge/

ამასთან, ჩვენი კვლევითი დოკუმენტების უდიდესი ნაწილი ეფუძნება სწორედ საჯარო დაწესებულებებიდან მიღებულ ინფორმაციას. აღნიშნული დოკუმენტები თემატური მიმართულებების მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ ჩვენ ვებ-გვერდზე.

https://idfi.ge/ge/category/news/publications

გისურვებთ წარმატებებს !

პატივისცემით,

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

Address: 20, T. Shevchenko Street, Tbilisi, 0108, Georgia
Contact: Tel (office): +995 322 921514
Web: www.idfi.ge | Research

On Sat, Dec 30, 2023 at 12:03 PM niko nikoladze <nikonikoladze@hotmail.com> wrote:
> გთხოვთ, მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი

This email and any files transmitted with it are confidential and intended solely for the use of the individual or entity to whom they are addressed. If you are not the named addressee you should not disseminate, distribute or copy this e-mail. We kindly ask you to delete and notify the sender immediately if you have received this e-mail by mistake. The sender accepts no liability for any damage caused by any virus transmitted by this email. Statements given in the e-mail belong to the sender and do not necessarily represent those of the Institute (IDFI).

please consider the environment before printing this email



საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი - ინფორმაცია ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეე

მსგავსი +−

1 საქართველოსა და დომინიკის თანამეგობრობას შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება გაფორმდა

2 ლევან ხაბეიშვილი - ხან ჩემი კბილები არ მოსწონთ, ხან პალტო, სათვალე, ვარჯიში, თურმე ხაბეიშვილი ვიღაცის მართულია, ეს ხომ რუსული პროპაგანდაა, ვის სჯერა

3 ევროკომისიაში აცხადებენ, რომ აუცილებელია ახალი წესების მიღება, რათა ევროპაში უვიზო მიმოსვლის ბოროტად გამოყენების შემთხვევები აღიკვეთოს

4 მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან თავდაცვის კოდექსის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

5 საქართველოსა და პერუს შორის უვიზო მიმოსვლის შეთანხმება გაფორმდა

6 კახა კალაძე - ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რათა ჩინეთს ეკონომიკურად

კრიმინალის გაზრდილი სტატისტიკის შესახებ, რუსული პროპაგანდის შედეგია

11:31,
21.03.2019

ინფორმაცია ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მხრიდან კრიმინალური შემთხვევების გაზრდილი სტატისტიკის შესახებ, რუსული პროპაგანდის შედეგია, -ეს განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორმა, გიორგი ტაბატაძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.

ჩვენი ქვეყნის რუსული ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველო ევროპულ ორბიტას საბოლოოდ ჩამოშორდეს

8 შალვა პაპუაშვილი - პირადობის მოწმობის გამოყენებით საქართველოსა და სომხეთს შორის გადაადგილება შესანიშნავი შესაძლებლობაა ორი მეგობარი ერისთვის, რომ უპრობლემოდ შეძლონ მოგზაურობა

9 ამოქმედდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, საქართველოსა და სომხეთს შორის მიმოსვლა ბიომეტრიული პირადობის მოწმობით არის შესაძლებელი

10 ევროკავშირი არაწევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის გამკაცრებას გეგმავს

ამინდის პროგნოზი

5° ორ

თბილისი

სამ	ოთხ
9°	12°

€	EUR	2.9566	0.011
₽	RUB	0.030339	0.016
£	GBP	3.4103	0.008

დაწერე ევროვიზიის სიმღერა ნუცასთვის



ევროპული პერსპექტივა



მოამგე

მოქალაქეებს ლიად ვესაუბრებით უვიზო მიმოსვლის პროცესში არსებულ რისკებზე, რომელიც მათი მხრიდან წესების დარღვევის შემთხვევაში არის მოსალოდნელი. ბოლო პერიოდში დღის წესრიგში აღარ დგას საქართველოს მოქალაქეების მხრიდან კრიმინალის ჩადენის ზრდის შემთხვევები. ეს მაჩვენებელი არც წინათ იყო ძალიან მაღალი და ციფრებით მანიპულირება რუსული პროპაგანდის ნაწილია",-განაცხადა გიორგი ტაბატაძემ

უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში უნივერსიტეტში გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე სტუდენტებს უვიზო მიმოსვლის პროცესში არსებული შედეგები და სტატისტიკური მონაცემები გააცნეს. საუბარი შეეხო აგრეთვე იმ რისკებსა და საფრთხეებს, რაც დაკავშირებულია, როგორც ამ წესების დარღვევასთან, ასევე

არამართლზომიერად გამოყენებასთან.

საინფორმაციო კამპანია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება.

კამპანიის მესამე ფაზა 2018 წლის მარტიდან დაიწყო. გასულ წელს კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა რეგიონში 160 შეხვედრა გაიმართა.

ავტორი - მერაბ წულუკიძე

რეგიონები
რუსული პროპაგანდა
საინფორმაციო შეხვედრა
უვიზო მიმოსვლა

128

მსგავსი

FB LIVE LIVE

მადაწყვეტილება - ოთხშაბათი, 22:00

აქტუალური თემა - ხუთშაბათი, 22:00

საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი - ინფორმაცია ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეების მხრიდან კრიმინალის გაზრდილი სტატისტიკის შესახებ, რუსული პროპაგანდის შედეგია

11:31, 21.03.2019

ინფორმაცია ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მხრიდან კრიმინალური შემთხვევების გაზრდილი სტატისტიკის შესახებ, რუსული პროპაგანდის შედეგია, -ეს განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორმა, გიორგი ტაბატაძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.

„კამპანიის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებს ღიად ვესაუბრებით უვიზო მიმოსვლის პროცესში არსებულ რისკებზე, რომელიც მათი მხრიდან წესების დარღვევის შემთხვევაში არის მოსალოდნელი. ბოლო პერიოდში დღის წესრიგში აღარ დგას საქართველოს მოქალაქეების მხრიდან კრიმინალის ჩადენის ზრდის შემთხვევები. ეს მაჩვენებელი არც წინათ იყო ძალიან მაღალი და ციფრებით მანიპულირება რუსული პროპაგანდის ნაწილია",-განაცხადა გიორგი ტაბატაძემ

უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში უნივერსიტეტში გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე სტუდენტებს უვიზო მიმოსვლის პროცესში არსებული შედეგები და სტატისტიკური მონაცემები გააცნეს. საუბარი შეეხო აგრეთვე იმ რისკებსა და საფრთხეებს, რაც დაკავშირებულია, როგორც ამ წესების დარღვევასთან, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების პროცედურების არამართლზომიერად გამოყენებასთან.

საინფორმაციო კამპანია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება.

კამპანიის მესამე ფაზა 2018 წლის მარტიდან დაიწყო. გასულ წელს კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა რეგიონში 160 შეხვედრა გაიმართა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის №15, 0102, თბილისი, საქართველო; ტელ: (+995 32) 295 23 53; ფაქსი: (+995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 295 23 53; Fax: (+995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ g-06/277-16 12.12. 2016 წ.

ცნობა

12/12/2016

ეძლევა ნიკოლოზ ნიკოლაძეს, მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საიას) კონკურსი, რის შედეგადაც ნიკოლოზ ნიკოლაძე ჩაერთვება საიას მიგრაციის პროექტში განხორციელებულ კვლევით საქმიანობაში. კვლევითი დავალების სათაურია: „ემიგრანტების სამართლებრივი და პოლიტიკური დაცვის მექანიზმები საზღვარგარეთ". აღნიშნული საქმიანობისთვის გათვალისწინებულია ერთჯერადი ჰონორარის გაცემა, ხოლო კვლევითი დავალება წარმოადგენს სამეცნიერო, პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობას.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე,

ანა ნაცვლიშვილი

GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION 1861373

3-04/157-17
09.03.17

საქართველო

8004-01-2-201703061455

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/8004
06/03/2017

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას
/ქ. თბილისი, ჯ. კახიძის N15. ტელ: (99532) 295 23 53/

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2017 წლის 12 იანვრის Nგ-04/77-17 და Nგ-04/78-17 განცხადებები, რომლებთან დაკავშირებითაც, გაცნობებთ შემდეგს:

❖ საკონსულო თანამდებობის პირი, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა სამართლებრივ დაცვას 2007-2016 წლების პერიოდში ახორციელებდა „საკონსულო ურთიერთობების შესახებ" ვენის კონვენციისა და „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის, შესაბამისად.

❖ საკონსულო თანამდებობის პირის მიერ საკონსულო დეპარტამენტში იგზავნება საკონსულო საქმიანობის ამსახველი შემდეგი სახის ანგარიშები: წლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, ასევე კვარტალური ანგარიშები სამართლებრივი დახმარების, ტრეფიკინგის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, მოქალაქეობის საკითხებზე. აღნიშნული ანგარიშების მიხედვით, საკონსულო დეპარტამენტის მიერ ხორციელდება საკონსულო საქმიანობის შესწავლა/შეფასება. ამასთან, საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ცენტრალურ აპარატში გამოსაგზავნი ანგარიშის ფორმა განსაზღვრულია საკონსულო დეპარტამენტის 2010 წლის 29 სექტემბრის N 4/17956-18 დირექტიული წერილით (ანგარიშის ფორმას გიგზავნით დანართის სახით).

❖ საკონსულო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით:

✓ შეიქმნა ვებ-გვერდი (www.geoconsul.gov.ge), რისი საშუალებით კონკრეტული სახის საკონსულო მოქმედებებზე დაინტერესებულ პირს შეუძლია (მიუხედავად მისი მოქალაქეობისადმი კუთვნილებისა) ელექტრონულად გააკეთოს განაცხადი (მომსახურების გაწევის მოთხოვნა);

✓ 2015 წლის 9 თებერვლიდან შემოღებულ იქნა ელ. ვიზის პორტალი www.evisa.gov.ge, რომლის მეშვეობით ხდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ორდინალური კატეგორიის ვიზების გაცემა;

✓ „ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში, ქართული მხარის მიერ შემუშავდა რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემა;

✓ საკონსულო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, საკონსულო დეპარტამენტთან არსებული ქოლ-ცენტრი გადავიდა 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე;

❖ კონცეპტუალური პროექტები და საკონსულო სფეროში შემუშავებულ მიზნები:

✓ მომსახურების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება და მოქალაქეებისათვის სრულყოფილი სერვისის მიწოდება;

✓ არსებული ვებ-გვერდის www.geoconsul.gov.ge განვითარება და დახვეწაზე მუშაობის გაგრძელება;

✓ ქოლ-ცენტრის ეფექტურობის გაზრდა;

✓ საკონსულო მომსახურებისა და საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვის განხორციელების არეალის გაზრდის მიზნით, ახალი საკონსულო დაწესებულებების დაფუძნება.

❖ ამ ეტაპზე არსებული მონაცემებით, საზღვარგარეთ საკონსულო აღრიცხვაზე იმყოფება საქართველოს 55 304 მოქალაქე.

❖ კონკრეტულ საკონსულო დაწესებულებებსა და საკონსულო თანამდებობის პირებზე ინდივიდუალური დავალებები გაიცემა საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოგაწოდოთ ამ პუნქტებში მითითებული ინფორმაცია. რაც შეეხება ზოგადად საკონსულო სფეროში თანამშრომლობის განვითარებას და საკონსულო საქმიანობის გაუმჯობესებას, ამ მიმართულებით ტარდება საკონსულო კონსულტაციები სხვადასხვა ქვეყნის საგარეო უწყების წარმომადგენლებთან და ინერგება ინოვაციები საკონსულო საქმიანობაში.

❖

ა) საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირების მიერ ცენტრალურ აპარატში წარმოსადგენი საკონსულო საქმიანობის წლიური ანგარიშის ფორმა განსაზღვრულია საკონსულო დეპარტამენტის 2010 წლის 29 სექტემბრის N 4/17956-18 დირექტიული წერილით), რომლის საფუძველზე საკონსულო დეპარტამენტი ახორციელებს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების საკონსულო საქმიანობის მონიტორინგს;

ბ) საკონსულო საქმიანობის სრულყოფის მიზნით შეიქმნა ვებ-გვერდი (www.geoconsul.gov.ge), რომლის საშუალებით კონკრეტული სახის საკონსულო მოქმედებებზე დაინტერესებულ პირს შეუძლია (მიუხედავად მისი მოქალაქეობისადმი კუთვნილებისა) ელექტრონულად გააკეთოს განაცხადი (მომსახურების გაწევის მოთხოვნა); შემოღებულ იქნა ელ. ვიზის პორტალი www.evisa.gov.ge, რომლის მეშვეობით ხდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ორდინალური კატეგორიის ვიზების გაცემა; „ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში, ქართული მხარის მიერ შემუშავდა რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემა; საკონსულო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, საკონსულო დეპარტამენტთან არსებული ქოლ-ცენტრი გადავიდა 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე. საკონსულო თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ხდება ტრეინინგების ორგანიზება. საკონსულო დეპარტამენტის ინიციირებით შემუშავდა „საქართველოს საპატიო კონსულის შესახებ" ახალი დებულება, აღნიშნული დებულება ხელს უწყობს საპატიო კონსულის ინსტიტუტის განვითარებასა და სრულყოფას;

გ) საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო სამსახურები, ასევე საკონსულო დეპარტამენტი აქტიურად მუშაობენ საქართველოს მოქალაქე მეზღვაურთა უფლებების დაცვის კუთხით. ამ კონტექსტში, აღსანიშნავია სხვადასხვა სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი გემების ეკიპაჟის წევრი საქართველოს მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევა. აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით, მიმდინარეობდა მუშაობა როგორც გემთმფლობელ კომპანიებთან, ასევე, ადგილობრივ შესაბამის ოფიციალურ უწყებებთან და „ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის" (ITF) წარმომადგენლებთან. საკონსულო დეპარტამენტის ჩართულობით და აქტიური მუშაობის შედეგად, ქართველ მეზღვაურების დიდ ნაწილს აუნაზღაურდა სახელფასო დავალიანება, ჩაუტარდა მკურნალობა, გაეწია შუამდგომლობა ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან, უზრუნველყოფილ იქნა მათი სამშობლოში დაბრუნება და სხვა.

❖ საგარეო საქმეთა სამინისტრო არ აწარმოებს საზღვარგარეთ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების სტატისტიკას დანაშაულის სახეობის/ფორმების შესაბამისად. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას.

❖ 2014-2016 წლებში საკონსულო კონსულტაციები გაიმართა შემდეგ ქვეყნებთან:

✓ ესტონეთის რესპუბლიკა;
✓ ისრაელის სახელმწიფო;
✓ თურქეთის რესპუბლიკა;
✓ აზერბაიჯანის რესპუბლიკა;
✓ ირანის ისლამური რესპუბლიკა;
✓ სლოვაკეთის რესპუბლიკა;

- ✓ უკრაინა;
- ✓ ყაზახეთის რესპუბლიკა;
- ✓ ყირგიზეთის რესპუბლიკა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით საგარეო საქმეთა სამინისტროში დაცულ ინფორმაციას/სტატისტიკურ მონაცემებს.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ის ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციის ცნებას, მოგეწოდებათ დამატებით, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ მისი მოძიებისა და დამუშავებისთანავე.

დანართი: დანართი: 4 (ოთხი) გვერდი

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

წლიური ანგარიშში განსახილველი თემები

1. საკონსულო დაცვა:
   ა) საკონსულო დაცვის კუთხით ადგილსამყოფელ ქვეყანაში/ებში[1] განხორციელებული საკონსულო მოქმედებების სახეობები (რა სახის საკონსულო დახმარების გაწევის აუცილებლობა დგება დღის წესრიგში კონკრეტულ ქვეყნებთან მიმართებით);
   ბ) საკონსულო დაცვის გაწევის პროცესში არსებული პრობლემები.

2. საკონსულო ოლქის შემოვლა:
   ა) საკონსულო ოლქის შემოვლის დროს საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი კონცენტრაციის ადგილები (რაოდენობა ადგილების მიხედვით და საქმიანობის სფერო);
   ბ) საკონსულო ოლქის შემოვლის დროს საქართველოს მოქალაქეებთან განხილული ძირითადი საკითხები (განხორციელებული საკონსულო მოქმედებები);
   გ) საკონსულო ოლქის შემოვლის შედეგების ანგარიში და შეფასება.

3. საკონსულო საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ძირითადი პრობლემატიკის მიმოხილვა:
   ა) ძირითადი პრობლემატიკა რაც არ არის დაკავშირებული საკონსულო დაცვასთან (გამომწვევი მიზეზები, გადაჭრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და მიღწეული შედეგი);
   ბ) საკონსულო საქმიანობის პროცესში, საქართველოს კანონმდებლობის გამოყენების დროს წარმოქმნილი სირთულეები რაც განპირობებულია ადგილსამყოფელი ქვეყნ(ებ)ის სპეციფიკით; (მოკლე აღწერა და პრობლემის გადაწყვეტის თქვენი ხედვა);
   გ) საკონსულო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, კონკრეტული მიმართულების მარეგულირებელი ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობის თაობაზე თქვენი მოსაზრებები (კონკრეტულად რა სახის ხელშეკრულება, რა მხრივ დაეხმარება ხელშეკრულების არსებობა თქვენს საქმიანობას და ამ მიმართულებით თქვენი საქმიანობის აღწერა).

4. საკონსულო საქმიანობის სფეროში თანამშრომლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის სტრუქტურებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:
   ა) ზოგადი მიმოხილვა, განხილული საკითხები და მიღწეული შედეგები.

5. ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოღვაწე საქართველოს საპატიო კონსულებთან თანამშრომლობის შესახებ:

---

[1] საკონსულო დაწესებულება, რომლის საკონსულო ოლქი მოიცავს რამდენიმე ქვეყანას, საკონსულო დაცვის კუთხით ინფორმაციას წარმოადგენს თითოეული ქვეყნისათვის ცალ-ცალკე.

ა) საპატიო კონსულის საქმიანობის მოკლე შეფასება;

ბ) ერთობლივი ღონისძიებები;

გ) წინადადებები საქართველოს საპატიო კონსულის კონკრეტული საკონსულო ფუნქციებით აღჭურვის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყანაში წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო და სხვა სახის მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ (თქვენი შეფასება - მიზეზები, დამდგარი შედეგი და მათი ზეგავლენა ქვეყანაში მყოფ საქართველს მოქალაქეებზე).

7. ინფორმაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის გამოცდილების და პრაქტიკის შესახებ (ინფორმაცია საკონსულო სამსახურების საქმიანობის მოწყობის, წარმდგენი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებთან მათი კოორდინაციის, საკონსულო სფეროში ადგილსამყოფელი ქვეყნის გამოცდილების ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით და მოქმედების სფეროთი და რომელიც პრაქტიკაში არ გავქვს საქართველოში), რომელიც თქვენი აზრით უნიკალურია და შესაძლოა მისი დანერგვა საქართველოში.

8. სხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც თქვენ მიიჩნევთ მნიშვნელოვნად წლიურ ანგარიშში ასახვის მიზანშეწონილობის კუთხით.

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები			
კატეგორიები	რაოდენობა	ინფორმაციის მიღების წყარო (უწყება)	შენიშვნა
საქ. მოქალაქეთა საერთო რაოდენობა			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობა			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც შევიდნენ ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც დატოვეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორია			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მოითხოვეს თავშესაფარი			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა თხოვნა დაკმაყოფილდა თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ დროებითი ან მუდმივი ბინადრობის უფლება (საფუძვლების მითითებით)			
საგანმანათლებო დაწესებულებებში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა			
სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ საქ. მოქალაქეთა რაოდენობა			
სადეპორტაციო დაწესებულებაში მყოფ პირთა რაოდენობა			
დეპორტირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
ექსტრადირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
რეადმისირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
გადმოყვანილ მსჯავრდებულთა რაოდენობა			
გარდაცვლილ საქ. მოქალაქეთა რაოდენობა			

ცხრილში უნდა მიეთითოს საანგარიშო წლის მონაცემები. დიპლომატიური წარმომადგენლობა/საკონსულო დაწესებულება, რომლის საკონსულო ოლქი მოიცავს ერთზე მეტ უცხო ქვეყანას, წინამდებარე სტატისტიკური ცხრილი უნდა შეავსოს ყოველი კონკრეტული უცხო ქვეყნისთვის ცალ-ცალკე; ამასთანავე ცხრილის მარჯვენა ზედა კუთხეში უნდა მიეთითოს ქვეყანა, რომელზეც წარმოდგენილია ზემოთ მოყვანილი მონაცემები. ინფორმაციის მიღების წყაროში მიეთითება ის კონკრეტული უწყება, რომელსაც მიემართა ინფორმაციის მოთხოვნით. ცხრილში ასახულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, უნდა მიემართოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს, საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე ორი თვით ადრე.

2-10681/23
29-06-2023

დასკვნა

საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის საკანონმდებლო წინადადება „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (N1-15428/22; 24.11.2022)

წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების მიზანია „მიგრაციის მონაცემთა მოპოვების და გაცვლის მექანიზმის გაუმჯობესება, საკონსულო საქმიანობის ანგარიშგების განხორციელების საფუძვლების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა“. ამ მიზნით, საკანონმდებლო წინადადება ითვალისწინებს „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისთვის ახალი მუხლის დამატებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საკონსულო სამსახურებს დაევალებათ მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კითხვარის შევსება. აღნიშნული კითხვარი და საკონსულო სამსახურებიდან შეგროვებული სხვა სტატისტიკური მონაცემები მიეწოდება მიგრაციის საკითხებზე მომუშავე საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს და აღნიშნული „ხელს შეუწყობს თანამდროვე გამოწვევების გათვალისწინებით და უწყებების საჭიროებების გათვალისწინებით კითხვარის დამუშავებას და მონაცემთა გაცვლის მიზნით კოორდინაციის მექანიზმების დასახვას“.

მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებული დამატებითი კითხვარის შემუშავება და აღნიშნული ცვლილების „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი მუხლის სახით დამატება არ წარმოადგენს აუცილებლობას, ვინაიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ანგარიშგების ფორმა სრულად შეიცავს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციულ გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის საჭირო სტატისტიკურ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება დაინტერესებულ უწყებებს, მათ შორის მიგრაციის კომისიას. რაც, შეეხება წლიური ანგარიშის ფორმის დამტკიცებას, საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა ამ კუთხით, გაზიარებული იქნა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წინადადებებიც. აღნიშნულის საფუძველზე შემუშავებული მიგრაციულ მონაცემთა გაცვლის შესაბამისი ფორმა დამტკიცებული იქნება საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანებით. შესაბამისად, „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებითი ცვლილებების განხორციელება არ არის მიზანშეწონილი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა უარყოფილად ცნო საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის საკანონმდებლო წინადადება „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნიკოლოზ სამხარაძე

საქართველო

33169-01-2-20221101[illegible]

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/33169
01/11/2022

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

[redacted] ტელ: [redacted]

ელ. ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2022 წლის 26 ოქტომბრის N37222/01 და 37228/01 განცხადებების პასუხად გაცნობებთ, რომ 2017-2021 წლებში საკონსულო კონსულტაციები გაიმართა შემდეგ ქვეყნებთან/საერთაშორისო ორგანიზაციასთან:

- სუამი - 2017 წლის 16-17 მარტი, 2018 წლის 1 ოქტომბერი, 2019 წლის 10 ოქტომბერი;
- ისრაელი - 2017 წლის 10 მაისი;
- თურქეთი - 2017 წლის 8 დეკემბერი, 2019 წლის 15 ნოემბერი;
- უკრაინა - 2018 წლის 3 აგვისტო;
- ესტონეთი - 2018 წლის 5 დეკემბერი;
- სომხეთი - 2019 წლის 15 თებერვალი, 2021 წლის 14 აპრილი;
- ირანი - 2019 წლის 20 თებერვალი;
- უზბეკეთი - 2019 წლის 19 ივლისი;
- აზერბაიჯანი - 2019 წლის 11 ოქტომბერი;
- თურქმენეთი - 2019 წლის 1 ნოემბერი;
- ბელარუსი - 2019 წლის 3 დეკემბერი.

ამასთან, რაც შეეხება საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ცენტრალურ აპარატში წარსადგენ წლიური ანგარიშის ფორმას - ეს უკანასკნელი განსაზღვრულია საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის 2010 წლის 29 სექტემბრის N.4/17956-18 დირექტიული წერილით, რომელსაც გიგზავნით დანართის სახით.

დანართი: 3 (სამი) გვერდი

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი

№2

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები			
კატეგორიები	რაოდენობა	ინფორმაციის მიღების წყარო (უწყება)	შენიშვნა
საქ. მოქალაქეთა საერთო რაოდენობა			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობა			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც შეეიდნენ ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც დატოვეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორია			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მოითხოვეს თაეშესაფარი			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა თხოვნა დაკმაყოფილდა თაეშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ დროებითი ან მუდმივი ბინადრობის უფლება (საფუძვლების მითითებით)			
საგანმანათლებო დაწესებულებებში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა			
სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ საქ. მოქალაქეთა რაოდენობა			
სადეპორტაციო დაწესებულებაში მყოფ პირთა რაოდენობა			
დეპორტირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
ექსტრადირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
რეადმისირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
გადმოყვანილ მსჯავრდებულთა რაოდენობა			
გარდაცვლილ საქ. მოქალაქეთა რაოდენობა			

ცხრილში უნდა მიუთითოს საანგარიშო წლის მონაცემები.

-დიპლომატიური წარმომადგენლობა/საკონსულო დაწესებულება, რომლის საკონსულო ოლქი მოიცავს ერთზე მეტ უცხო ქვეყანას, წინამდებარე სტატისტიკური ცხრილი უნდა შეავსოს ყოველი კონკრეტული უცხო ქვეყნისთვის ცალცალკე, ამასთანავე ცხრილის მარჯვენა ზედა კუთხეში უნდა მიეთითოს, ქვეყანა, რომელზეც წარმოდგენილია ზემოთმოყვანილი მონაცემები.

-ინფორმაციის მიღების წყაროში მიეთითება ის კონკრეტული უწყება რომელსაც მიემართა ინფორმაციის მოთხოვნით.

-ცხრილში ასახულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, უნდა მიემართოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს, საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე ორი თვით ადრე.

წლიური ანგარიშში განსახილველი თემები

1. საკონსულო დაცვა:

   ა) საკონსულო დაცვის კუთხით ადგილსამყოფელ ქვეყანაში/ებში[1] განხორციელებული საკონსულო მოქმედებების სახეობები (რა სახის საკონსულო დახმარების გაწევის აუცილებლობა დგება [illegible] წესრიგში კონკრეტულ ქვეყნებთან მიმართებით);

   დ) საკონსულო დაცვის გაწევის პროცესში არსებული პრობლემები.

2. საკონსულო ოლქის შემოელა:

   ა) საკონსულო ოლქის შემოელის დროს საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი კონცენტრაციის ადგილები (რაოდენობა ადგილების მიხედვით და საქმიანობის სფერო);

   ბ) საკონსულო ოლქის შემოელის დროს საქართველოს მოქალაქეებთან განხილული ძირითადი საკითხები (განხორციელებული საკონსულო მოქმედებები);

   გ) საკონსულო ოლქის შემოელის შედეგების ანგარიში და შეფასება.

3. საკონსულო საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ძირითადი პრობლემატიკის მომოხილვა:

   ა) ძირითადი პრობლემატიკა რაც არ არის დაკავშირებული საკონსულო დაცვასთან (გამომწვეევი მიზეზები, გადაჭრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და მიღწეული შედეგი);

   ბ) საკონსულო საქმიანობის პროცესში, საქართველოს კანონმდებლობის გამოყენების დროს წარმოქმნილი სირთულეები რაც განპირობებულია ადგილსამყოფელი ქვეყნ(ებ)ის სპეციფიკით; (მოკლე აღწერა და პრობლემის გადაწყვეტის თქვენი ხედვა).

   გ) საკონსულო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, კონკრეტული მიმართულების მარეგულირებელი ორმხრიეი ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობის თაობაზე თქვენი მოსაზრებები (კონკრეტულად რა სახის ხელშეკრულება, რა

[1] საკონსულო დაწესებულება, რომლის საკონსულო ოლქი მოიცავ რამოდენიმე ქვეყანას საკონსულო დაცვის კუთხით ინფორმაციას წარმოადგენს თითეული ქვეყნისათვის ცალცალკე.

მხრივ დაეხმარება ხელშეკრულების არსებობა თქვენს საქმიანობას და ამ მიმართულებით თქვენი საქმიანობის აღწერა).

4. საკონსულო საქმიანობის სფეროში თანამშრომლობა ადგილსამყოფელ ქვეყნის სტრუქტურებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

   ა) ზოგადი მიმოხილვა, განხილული საკითხები და მიღწეული შედეგები.

5. ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოღვაწე საქართველოს საპატიო კონსულებთან თანამშრომლობის შესახებ;

   ა) საპატიო კონსულის საქმიანობის მოკლე შეფასება;

   ბ) ერთობლიები ღონისძიებები;

   გ) წინადადებები საქართველოს საპატიო კონსულის კონკრეტული საკონსულო ფუნქციებით აღჭურვის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყანაში წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო და სხვა სახის მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ (თქვენი შეფასება - მიზეზები, დამდგარი შედეგი და მათი ზეგავლენა ქვეყანაში მყოფ საქართველს მოქალაქეებზე).

7. ინფორმაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის გამოცდილების და პრაქტიკის შესახებ (ინფორმაცია საკონსულო სამსახურების საქმიანობის მოწყობის, წარმდგენი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებთან მათი კოორდინაციის, საკონსულო სფეროში ადგილსამყოფელი ქვეყნის გამოცდილების ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია თაეისი შინაარსით და მოქმედების სფეროთი და რომელიც პრაქტიკაში არ გავქვს საქართველოში), რომელიც თქვენი აზრით უნიკალურია და შესაძლოა მისი დანერგვა საქართველოში.

8. სხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც თქვენ მიიჩნევთ მნიშვნელოვნად წლიურ ანგარიშში ასახვის მიზანშეწონილობის კუთხით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ქალბატონ თეა ლეკვეიშვილს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N [redacted]
მცხ.: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების/ საკონსულო დაწესებულებების, მათ შორის საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა ანგარიშებზე ან თუგინდ ღია წყაროებზე დაყრდნობით დამუშავებული მონაცემების საფუძვლად მომაწოდოთ 2016-2021 წლების სტატისტიკური მონაცემები (საჯარო ინფორმაცია) ქვემოაწნიშნულის შესახებ (თითოეული წელიწადი და ქვეყანა ცალ-ცალკე):

სახელმწიფოს დასახელება			
ინფორმაციის სახე/ კატეგორია	რაოდენობა	ინფორმაციის მიღების წყარო	შენიშვნა
საქართველოს მოქალაქეთა საერთო რაოდენობა			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობა			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც შევიდნენ ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც დატოვეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორია			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მოითხოვეს თავშესაფარი			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა თხოვნა დაკმაყოფილდა თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც ააქვთ დროებითი ან მუდმივი ბინადრობის უფლება (საფუძვლების მითითებით)			
საგანმანათლებლო დაწესებულებაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა			
სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა			
სადეპორტაციო დაწესებულებაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა			
დეორტირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
ექსტრადირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			

რეადმისირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
გადმოყვანილ მსჯავრდებულთა რაოდენობა			
გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა			

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება (თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით). აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტის ან/და ქვეყანასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი. ასევე, ხსენებული მოთხოვნის პარალელურად დასაშვებია ექსელის ან/და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის ფარგლებში უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ დამუშავებული მონაცემების ამსახველი ფაილის მოწოდებაც.

22/01/2022

Re: საჯარო ინფორმაცია მოქალაქეთა გადაადგილების სტატისტიკურ მონაცემებზე

MFA of Georgia <mfageo@mfa.gov.ge>
Mon 1/24/2022 4:28 AM
To: [redacted]
1938/01

From: [redacted] >
Sent: 22 January 2022 18:10:39
To: MFA of Georgia
Subject: საჯარო ინფორმაცია მოქალაქეთა გადაადგილების სტატისტიკურ მონაცემებზე

გთხოვთ, მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი

საქართველო

22512-01-2-202207271012

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/22512
27/07/2022

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძეს**

ელ.მის: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მიმდინარე წლის 18 ივლისის N23609/01 განცხადების პასუხად, ელექტრონულ მისამართზე, გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, რომელიც შედგება 219 გვერდისგან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თუ გსურთ მოთხოვნილი ინფორმაცია მიიღოთ მატერიალური სახით, გთხოვთ, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად (საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს: A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს), წარმოადგინოთ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის (219 გვერდის 10,95 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში შემდეგი რეკვიზიტებით: მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 სახაზინო კოდი 302003173, გადახდის დანიშნულება - საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი.

დანართი: 219 (ორასცხრამეტი) გვერდი

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

284-01-4-202112211755

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-284; 21/12/2021 ქ. თბილისი

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 8 ივლისის N 01-128 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 8 ივლისის N01-128 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმისწარმოების ინსტრუქცია (დანართი N1);

ბ) სამინისტროს ნოტის ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N2);

გ) მინისტრის ბრძანების მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N3);

დ) მინისტრის ქართულენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N4);

ე) მინისტრის ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N5);

ვ) ვიცე-პრემიერის, მინისტრის ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N6);

ზ) სამინისტროს ქართულენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N7);

თ) სამინისტროს ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N8);

ი) სამინისტროში შიდა მიმოწერისას ელექტრონული მოხსენებითი (სამსახურებრივი) ბარათის ნიმუში (დანართი N9);

კ) სამინისტროს სრულგერბიანი დიდი ზომის ბეჭედი საგადასახადო კოდის გამოსახულებით (დანართი N10);

ლ) სამინისტროს სრულგერბიანი დიდი ზომის N1 და N2 ბეჭედი (დანართი N11);

მ) შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო შტამპები ნომრებით 01-დან 12 -ის ჩათვლით (დანართი N12);

ნ) სამინისტროს მრგვალი მცირე ზომის ბეჭედი N1, N2, N3, N4, N5 -ის გამოსახულებით, არქივის ბეჭედი ნომრებით N1, N2 და პაკეტის ბეჭედი ნომრებით 1-დან 4 - ის ჩათვლით (დანართი N13);

ო) სამინისტროს სრულგერბიანი მცირე ზომის N3, N4, N5, N6, N7 ბეჭდები და საკონსულო ლეგალიზაციის შტამპი (დანართი N14);

პ) მეორე ეტაპის ლეგალიზაციის მატერიალური და ელექტრონული შტამპები (დანართი N15);

ჟ) დიპლომატიური ფოსტის სრულგერბიანი ბეჭედი და შიდა აუდიტის დეპარტამენტის ბეჭდები ნომრებით 1-დან 5-ის ჩათვლით (დანართი N16);

რ) საწყობის ლუქი (დანართი N17);

ს) სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის სრულგერბიანი მცირე ზომის ბეჭედი (უნომრო), შტამპი (ნიმუში SPECIMEN) და შტამპი (გაუქმებულია/CANCELLED) (დანართი N18).“.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით(დანართიN1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18).

3. ,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 8 ივლისის N01-128 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,11. რეგისტრაციას არ ექვემდებარება:

ა) სამინისტროს თანამშრომლის მიერ საქმისწარმოების ავტომატიზირებულ სისტემაში - „eDocument“ - ში ატვირთული სამსახურებრივი ბარათი/განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს ინფორმაციას (გარდა სამუშაო ადგილის/თანამდებობრივი სარგოს შესახებ ცნობებისა) პირადი მიზნებისათვის.

ბ) ინფორმაციისა და მომსახურების მიღების მიზნით უცხო ენაზე შემოსული ფიზიკურ/იურიდიულ პირთა წერილები/ განცხადებები.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება კორესპონდენციაზე, რომელიც წარმოდგენილია უცხო სახელმწიფოს/უცხო სახელმწიფოს თანამდებობის პირის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის/საერთაშორისო ორგანიზაციის თანამდებობის პირის მიერ ან დაკავშირებულია უცხოეთის სახელმწიფოებთან/ საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივი მართვისა და კოორდინაციის საკითხებთან.“;

ბ) მე-5 მუხლს მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს 12^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„12^1. ამ მუხლის მე-12 პუნქტის დარღვევით მომზადებული შიდა დოკუმენტი კანცელარიის მიერ არ დარეგისტრირდება და მოხდება მისი დაწუნება, რის თაობაზეც ეცნობება შემსრულებელს.“;

გ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გამოიყენება შემდეგი სახის სატიტულო ბლანკები:

ა) A4-ფორმატის, 21X29,7 სმ ზომის:

ა.ა) მინისტრის ქართულენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N4);

ა.ბ) მინისტრის ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N5);

ა.გ) ვიცე-პრემიერის, მინისტრის ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N6);

ბ) A4-ფორმატის, 21X29,7 სმ ზომის:

ბ.ა) სამინისტროს ნოტის ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N2);

ბ.ბ) სამინისტროს ქართულენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N7);

ბ.გ) სამინისტროს ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი (დანართი N8).“;

დ) მე-9 მუხლს დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„10. ამ მუხლის მე-8 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ქვეყანაში ფორსმაჟორული გარემოებების (საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, პანდემია ან სხვ.) არსებობის შემთხვევაში.“;

ე) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. სამინისტროში დოკუმენტის ელექტრონულად მომზადება

1. საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა გამოიყენება სახელმწიფოებრივი, სამსახურებრივი, აგრეთვე სამინისტროსათვის დაკისრებული უფლებამოვალეობების განხორციელების მიზნით.

2. დაუშვებელია საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენება პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა თანამშრომლის მიერ მის შესახებ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნისა (სამუშაო ადგილის შესახებ/თანამდებობრივი სარგოს შესახებ ცნობის გაცემის მოთხოვნისა).

3. სამინისტროში დოკუმენტების მომზადება წარმოებს საქმისწარმოების ავტომატიზირებულ სისტემაში, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიიღოს სრული ინფორმაცია დოკუმენტის კანცელარიაში რეგისტრაციიდან დოკუმენტზე მუშაობის პროცესის დასრულების ჩათვლით.

4. სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოსაწერი დოკუმენტების მომზადებას უზრუნველყოფენ შემსრულებლები.

5. სამინისტროს უფლებამოსილი პირისათვის ხელმოსაწერად წარდგენილი დოკუმენტი სრულდება ელექტრონული ფორმით, დოკუმენტის გაფორმების არსებული წესების დაცვით.

6. ელექტრონულად დოკუმენტის მომზადება ერთ დოკუმენტზე/დავალებაზე ერთდროულად რამდენიმე შემსრულებლის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.

7. საპასუხო ან შუალედური ტიპის დოკუმენტების პროგრამის მეშვეობით მომზადება შესაძლებელია პროგრამაში შემავალი „სამუშაო გარემო"–ს საშუალებით საქაღალდეების შექმნის გზით.

8. საქაღალდე არის ელექტრონული დოკუმენტების ერთობლიობა, რომლის შექმნაც იწყება დოკუმენტების რეესტრში საჭირო დოკუმენტის (რომლის საფუძველზეც მზადდება ახალი დოკუმენტი) მონიშვნის შემდეგ. პროგრამაში არსებულ დიალოგურ ფანჯარაში ახალი საქაღალდის შექმნისათვის აირჩევა საქაღალდის ადმინისტრირება და კონტექსტური მენიუდან ფუნქციით „შექმნა" განისაზღვრება საქაღალდის და დოკუმენტთან კავშირის ტიპები.

9. საქაღალდის შექმნის შემდეგ მასში დოკუმენტების განთავსება წარმოებს ღილაკის - „დოკუმენტის ადმინისტრირება" მეშვეობით. ფუნქციის „შექმნა" მეშვეობით ჩამონათვალიდან სრულდება ერთ-ერთი შემდეგი ოპერაცია:

ა) სისტემაში ინტეგრირებული Word–ის და Excel–ის პროგრამების მეშვეობით ცარიელი შაბლონის საშუალებით დოკუმენტის შექმნა;

ბ) უკვე არსებული დოკუმენტის სისტემაში ატვირთვა;

გ) დოკუმენტის სკანირება და ამ მეთოდით დაკავშირება.

10. პროგრამა იძლევა შესაძლებლობას განხორციელდეს შიდა და გასაგზავნი დოკუმენტების კლასიფიკაცია. მომხმარებლის მიერ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების სისტემაში რეგისტრაციის ფორმის განსაზღვრისას ტიპი - „შიდა" ირჩევა სისტემის შიგნით მიმოწერის შემთხვევაში, ხოლო „გასაგზავნი" – სხვა უწყებაში გაგზავნის შემთხვევაში.

11. პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია განისაზღვროს საქაღალდის/დოკუმენტის კავშირის ტიპი - „საპასუხო" ან „შუალედური". კავშირის ტიპი - „საპასუხო" შეესაბამება დავალებაზე საპასუხოდ მომზადებულ დოკუმენტს, ხოლო „შუალედური" - დამატებითი ინფორმაციის მოძიებისათვის შექმნილ დოკუმენტს.

12. საპასუხო დოკუმენტის დასრულების შემდეგ, ღილაკის „მიენიჭოს მიმღები" გააქტიურებით, ავტომატურად ფიქსირდება საქაღალდეში არსებული დოკუმენტის მიმღების მონაცემები, დოკუმენტის გამომგზავნის რეკვიზიტების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დაემატოს სხვა ადრესატი.

13. პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია დოკუმენტისათვის შემდეგი კატეგორიის მინიჭება:

ა) კატეგორია „ძირითადი" – ირჩევა იმ დოკუმენტის შექმნის დროს, რომელზეც ფიქსირდება ხელმოწერა (თანმხლები დოკუმენტი);

ბ) კატეგორია „დანართი" – ირჩევა იმ დოკუმენტის შექმნის დროს, როდესაც დოკუმენტი ძირითადი (თანმხლები) დოკუმენტის დანართს წარმოადგენს;

გ) კატეგორია „დამხმარე სამუშაო მასალა" – ირჩევა იმ ტიპის დოკუმენტების შექმნის დროს, რომლებიც მხოლოდ სამუშაო პროცესში არის საჭირო ინფორმაციის გაცვლის და სხვა საჭიროებებისთვის. დამხმარე დოკუმენტის რეგისტრაცია არ ხდება.

14. სასურველი დოკუმენტი, მისი შექმნის პროცესის დასრულებისთანავე აისახება შესაბამის საქაღალდეში. საქაღალდესთან მითითებული რეკვიზიტები მოიცავს აგრეთვე იმ დოკუმენტების რაოდენობას, რა რაოდენობის დოკუმენტიც

არის მოთავსებული საქაღალდეში. ფაილების ჩამონათვალში თითოეული დოკუმენტის წინ გამოსახულია ინდიკაციის ნიშანი, რომელიც ვიზუალურად მიუთითებს დოკუმენტის არჩეულ კატეგორიას.

15. კონკრეტულ დავალებაზე საპასუხო დოკუმენტის მომზადების შემდეგ მომხმარებლის მიერ ხდება მისი პროგრამაში ატვირთვა შემდეგი პრინციპით:

ა) უნდა განხორციელდეს საჭირო დავალების არჩევა და შემდეგ ინსტრუმენტების პანელიდან ღილაკის - „სამუშაო გარემო“ გამოძახება;

ბ) ღილაკის - „დამატება“ მეშვეობით გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში ღილაკით - „Browse...“ არჩევით უნდა განხორციელდეს სასურველი დოკუმენტის შერჩევა და შენახვა ღილაკით - „შენახვა“;

გ) პროცესის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს მოქმედების დასრულება ღილაკით - „გასვლა“.

16. სასურველი დოკუმენტის დათვალიერება/რედაქტირება უნდა განხორციელდეს „სამუშაო გარემოს“ მეშვეობით. დოკუმენტის რედაქტირების შემთხვევაში დოკუმენტს უჩნდება ბლოკირების სტატუსი და ეთითება იმ მომხმარებლის გვარი და სახელი ვინც უშუალოდ მუშაობს მასზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დოკუმენტი სხვა მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომი არ არის.

17. სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოსაწერ დოკუმენტზე ელექტრონულად ვიზირებას ახდენენ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი და კურატორი მინისტრის მოადგილე.

18. კონტექსტური მენიუს დახმარებით შესაძლებელია უკვე სრულყოფილი საქაღალდის და შესაბამისად, მასში შემავალი დოკუმენტების ვიზირებაზე/ ხელმოწერაზე გადაგზავნა. კონტექსტური მენიუდან სტატუსების ისტორიის არჩევით შესაძლებელია საქაღალდის ისტორიის ყველა განვლილი სტადიის დათვალიერება (შექმნა, ვიზირებაზე გაგზავნა, ვიზირების მინიჭება, ვიზირების გაუქმება, ხელმოსაწერად გაგზავნა, ხელმოწერა, დაწუნება და რეგისტრირება).

19. კურატორი მინისტრის მოადგილის ვიზირების შემდეგ მინისტრის მიერ ხელმოსაწერი მასალები, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ფორმით ეგზავნება მინისტრს ხელმოსაწერად. მინისტრი უზრუნველყოფს დოკუმენტის ელექტრონულ და მატერიალურ ხელმოწერას.

20. საქაღალდის (შემავალი დოკუმენტების) ვიზირების პროცესის დასრულების შემდეგ, ვიზირებული დოკუმენტი იგზავნება ხელმოსაწერად შემდეგი პრინციპის დაცვით:

ა) იარაღების პანელიდან ღილაკი - „ხელმოწერაზე გაგზავნა", ან სასურველ საქაღალდეზე მაუსის მარჯვენა ღილაკის გამოყენებით კონტექსტური მენიუდან შესაბამისი ოპერაციის არჩევის გზით;

ბ) ხელმოსაწერად საქაღალდის გადაგზავნის დროს, ხელმომწერი პირისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია დოკუმენტის საფუძვლის, დოკუმენტის ადრესატებისა და ვიზაში მონაწილე პირთა შესახებ;

გ) გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში ხელმომწერი პირის არჩევის შემდეგ უნდა განხორციელდეს დამახსოვრება ღილაკით - „შენახვა".

21. საქაღალდის ხელმოსაწერად გაგზავნის შემთხვევაში, საქაღალდეს ენიჭება სტატუსი – „გაგზავნილია ხელმოსაწერად".

22. დოკუმენტის ხელმოწერისთვის მომხმარებლის მიერ მართვის პანელიდან უნდა შეირჩეს ღილაკი - „ხელმოწერა", რომლის შემდგომ, ნავიგაციის ნაწილში აქტიურდება ხელმოწერისთვის განკუთვნილი კორესპონდენცია, რომელიც დაყოფილია მომხმარებელთან ხელმოსაწერად მიღებულ და მომხმარებლისგან ხელმოსაწერად გაგზავნილ კორესპონდენციებად.

23. ხელმომწერი პირი უფლებამოსილია დაადასტუროს ხელმოწერა, ან დაუბრუნოს საქაღალდე შემსრულებელს იარაღების პანელიდან ღილაკით - „დაბრუნება". საქაღალდის დაბრუნების შემთხვევაში, „შენიშვნის" ველში შესაბამისი წინადადებების დამახსოვრების გზით, შესაძლებელია ხელმომწერის მიერ მიეთითოს საქაღალდის უკან დაბრუნების მიზეზი.

24. საქაღალდის ვიზირების და/ან ხელმოწერის პროცესში, შესაძლებელია დოკუმენტში შესაბამისი კორექტირების განხორციელება. დოკუმენტის კორექტირების შემთხვევაში, ყველა შესრულებული ოპერაცია უქმდება და პროცესი საჭიროებს განახლებას (შემსრულებლის მიერ დოკუმენტი კვლავ იგზავნება ვიზირებისათვის და ხელმოსაწერად).

25. ხელმომწერი პირის მიერ „ხელმოწერის" დადასტურების შემდეგ კონკრეტული საქაღალდე ავტომატურად გადაეცემა საქმისწარმოების სამსახურს, როგორც დასარეგისტრირებელი დოკუმენტი და აისახება გასატარებელი

კორესპონდენციის სიაში.

26. ადმინისტრაციული დეპარტამენტი უზრუნველყოფს ხელმოწერილი დოკუმენტის რეგისტრაციაში გატარებას და შესაბამისი ადრესატისთვის გაგზავნას ელექტრონული ან მატერიალური ფორმით.

27. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში, გამოიყენება ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესი.";

ვ) მე-14 მუხლის მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს 11^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„11^1. იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მინისტრის ნორმატიული ხასიათის ბრძანების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე ატვირთვას, ხოლო ადმინისტრაციული დეპარტამენტი, მის გამოსაქვეყნებლად გაგზავნას.";

ზ) მე-15 პუნქტი ამოღებულ იქნას;

თ) მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მინისტრის ბრძანებით ინიშნება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის მერ, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით გამოთხოვილი ინფორმაცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მიწოდებული უნდა იქნას დაუყოვნებლივ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე, თუ ვერ ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაუყოვნებლივ მიწოდება, სტრუქტურული

ერთეული წერილობითი ფორმით ატყობინებს მას აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებისა და მიწოდებისათვის საჭირო სავარაუდო პერიოდს.

5. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე აწარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო რეესტრს.";

ი) 21-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 21^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21^1. საქმისწარმოების ორგანიზება ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას

1. ფორსმაჟორული გარემოებების (საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, პანდემია ან სხვა დაუძლეველი ძალა) არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია შემოღებულ იქნას ამ წესისაგან განსხვავებული ნორმები.

2. თანამშრომლისათვის ჯანმრთელობის საფრთხის შექმნის თავიდან აცილების მიზნით, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მინისტრის მიერ შესაძლებელია შემოღებულ იქნას დისტანციურ რეჟიმში მუშაობის გრაფიკი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მიმართავს სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს დასაბუთებული მოთხოვნით და კონკრეტული ვადის მითითებით, თანამშრომლის პირად კომპიუტერზე საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაზე წვდომის შესახებ.

4. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომელი:

ა) უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომლის სამინისტროს ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკის ან პირადი კომპიუტერის (მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე) სისტემაში ჩართვას;

ბ) უზრუნველყოფს თანამშრომლის სამინისტროს ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკაში ან პირად კომპიუტერში სამსახურეობრივ რესურსებამდე უსაფრთხო/დაშიფრული კავშირის უზრუნველყოფას, ორმაგ ავტორიზაციასა და ჩატარებულ მოქმედებათა ლოგირებას;

გ) შეუსაბამო კომპიუტერული მდგომარეობის შემთხვევაში, სისტემაში

ჩართვაზე გასცემს უარს, ვიდრე არ მოხდება კონკრეტული მითითებების დაკმაყოფილება.

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ მოქმედებს ამ წესის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის მოქმედება.“.

4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ზალკალიანი

სამინისტროს ნოტის ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

10 სმ დიამეტრის
სამინისტროს ლოგოს
გამოსახულება
შესრულებული ე.წ.
„წყლის ნიშნებით“.
განთავსებული
ფურცლის ცენტრში.

<u>შენიშვნა:</u> ფურცლის ზომა A4 (21×29,7მმ). ქაღალდი თეთრი ფერის, ტილოს იმიტაციით 100 გრ/სმ²; საქართველოს გერბი ბარელიეფური და ერთ ფერში (ოქრო) შესრულებული. სამინისტროს დასახელება ბარელიეფური შავ ფერში.

დანართი N3

მინისტრის ბრძანების მატერიალური და
ელექტრონული ბლანკი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება

№..... „.....” .....20_ ქ. თბილისი

10 სმ დიამეტრის
სამინისტროს ლოგოს
გამოსახულება
შესრულებული ე.წ.
„წყლის ნიშნებით“.
განთავსებულია
ფურცლის ცენტრში.

<u>შენიშვნა:</u> ფურცლის ზომა A4 (21×29,7მმ). ქაღალდი თეთრი ფერის 80 გრ/სმ²; საქართველოს გერბი ბარელიეფური და სამ ფერში (წითელი, ოქრო, ვერცხლი) შესრულებული. თანამდებობის დასახელება ბარელიეფური შავ ფერში.

დანართი N4

მინისტრის ქართულენოვანი მატერიალური და ელექტრონული ბლანკი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

10 სმ დიამეტრის
სამინისტროს ლოგოს
გამოსახულება
შესრულებული ე.წ.
„წყლის ნიშნებით“.
განთავსებული
ფურცლის ცენტრში.

<u>შენიშვნა:</u> ფურცლის ზომა A4 (21×29,7მმ). ქაღალდი თეთრი ფერის, ტილოს იმიტაციით 100 გრ/სმ^2; საქართველოს გერბი ბარელიეფური და სამ ფერში (წითელი, ოქრო, ვერცხლი) შესრულებული. სამინისტროს დასახელება ბარელიეფური შავ ფერში.

ელექტრონულ ბლანკს დამატებით ემატება შტრიხკოდი უნიკალური ნომრის მითითებით.

დანართი N5

მინისტრის ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და

ელექტრონული ბლანკი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

MINISTER OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

10 სმ დიამეტრის
სამინისტროს ლოგოს
გამოსახულება
შესრულებული ე.წ.
„წყლის ნიშნებით".
განთავსებული
ფურცლის ცენტრში.

<u>შენიშვნა:</u> ფურცლის ზომა A4 (21×29,7მმ). ქაღალდი თეთრი ფერის, ტილოს იმიტაციით 100 გრ/სმ^2; საქართველოს გერბი ბარელიეფური და სამ ფერში (წითელი, ოქრო, ვერცხლი) შესრულებული. სამინისტროს დასახელება ბარელიეფური შავ ფერში.

ელექტრონულ ბლანკს დამატებით ემატება შტრიხკოდი უნიკალური ნომრის მითითებით.

დანართი N 6

ვიცე-პრემიერის, მინისტრის ქართულ-ინგლისურენოვანი

მატერიალური და ელექტრონული ბლანკი

საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი

VICE PRIME MINISTER, MINISTER OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

10 სმ დიამეტრის
სამინისტროს ლოგოს
გამოსახულება
შესრულებული ე.წ.
„წყლის ნიშნებით“.
განთავსებული
ფურცლის ცენტრში.

<u>შენიშვნა:</u> ფურცლის ზომა A4 (21×29,7მმ). ქაღალდი თეთრი ფერის, ტილოს იმიტაციით 100 გრ/სმ^2; საქართველოს გერბი ბარელიეფური და სამ ფერში (წითელი, ოქრო, ვერცხლი) შესრულებული. სამინისტროს დასახელება ბარელიეფური შავ ფერში.

ელექტრონულ ბლანკს დამატებით ემატება შტრიხკოდი უნიკალური ნომრის მითითებით.

დანართი N7

სამინისტროს ქართულენოვანი მატერიალური და ელექტრონული

ბლანკი

საქართველო

000000-00-0-000000000000

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№.....

„.....".....20

10 სმ დიამეტრის
სამინისტროს ლოგოს
გამოსახულება
შესრულებული ე.წ.
„წყლის ნიშნებით".
განთავსებულია
ფურცლის ცენტრში.

<u>შენიშვნა:</u> ფურცლის ზომა A4 (21×29,7მმ). ქაღალდი თეთრი ფერის 80 გრ/სმ²; საქართველოს გერბი ბარელიეფური და სამ ფერში (წითელი, ოქრო, ვერცხლი) შესრულებული. თანამდებობის და საქართველოს დასახელება ბარელიეფური შავ ფერში.

ელექტრონულ ბლანკს დამატებით ემატება შტრიხკოდი უნიკალურინომრის მითითებით.

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტ ე ლ :(+995 32) 294 50 00;
www.mfa.gov.ge

დანართი N8

სამინისტროს ქართულ-ინგლისურენოვანი მატერიალური და

ელექტრონული ბლანკი

საქართველო
GEORGIA

000000-00-0-000000000000

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

**MINISTRY OF
FOREIGN AFFAIRS**

№.....

„.....".....20

10 სმ დიამეტრის
სამინისტროს ლოგოს
გამოსახულება
შესრულებული ე.წ.
„წყლის ნიშნებით".
განთავსებული
ფურცლის ცენტრში.

<u>ენიშვნა:</u> ფურცლის ზომა A4 (21×29,7მმ). ქაღალდი თეთრი ფერის 80 გრ/სმ²; საქართველოს გერბი ბარელიეფური და სამ ფერში (წითელი, ოქრო, ვერცხლი) შესრულებული. თანამდებობის და საქართველოს დასახელება ბარელიეფური შავ ფერში.
ელექტრონულ ბლანკს დამატებით ემატება შტრიხკოდი უნიკალურინომრის მითითებით.

0118 Tbilisi, Shio Chitadze st. #4; Georgia. /Tel.: (+995 32) 294 50 00;
www.mfa.gov.ge

დანართი N9

სამინისტროში შიდა მიმოწერისას

ელექტრონულიმოხსენებითი(სამსახურებრივი) ბარათისნიმუში

000000-00-0-000000000000

№ _____; __/__/_____

მოხსენებითი ბარათი

ვის:	(თანამდებობა - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს / ან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გვარი, სახელი)
ვისგან:	(თანამდებობა - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილ / ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელისგან) გვარი, სახელი)
თარიღი:	(რიცხვი / თვე / წელი)
საკითხი:	(მოკლე აღწერა)

არსებული მდგომარეობა:

(განმარტება: აღნიშნულ გრაფაში აღწერილი უნდა იქნეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი გარემოებები, მათ შორის: არსებული ვითარების მოკლე თემატური მიმოხილვა, საჭიროების შემთხვევაში უწყების მიერ დაკავებული პოზიცია, პრობლემის არსი და ა. შ.)

რეკომენდაცია:

(განმარტება: აღნიშნულ გრაფაში მოცემული უნდა იქნეს წარმოდგენილი საკითხის გადაჭრის შესაძლო ვარიანტი და/ან იმ მოქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია საკითხის სრულყოფილად გადაჭრისათვის. სასურველია მიეთითოს შესაძლო დავალებათა კონკრეტული ჩამონათვალი სამსახურების მიერ ჩასატარებელი სამუშაოების მიხედვით).

(ხელმოწერა)

გვარი სახელი

თანამდებობის დასახელება

დანართიN10

სამინისტროს სრულგერბიანი დიდი ზომის ბეჭედი საგადასახადო კოდის
გამოსახულებით

დანართი N11

ა) სამინისტროს სრულგერბიანი
დიდი ზომის ბეჭედი N 1

ბ) სამინისტროს სრულგერბიანი
დიდი ზომის ბეჭედი N 2

დანართი N12



შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო შტამპები
ნომრებით 01-დან 12-ის ჩათვლით

დანართი N13

ა) სამინისტროს მრგვალი მცირე ზომის ბეჭედი N 1-ის გამოსახულებით

ბ) სამინისტროს მრგვალი მცირე ზომის ბეჭედი N 2-ის გამოსახულებით

გ) სამინისტროს მრგვალი მცირე ზომის ბეჭედი N 3-ის გამოსახულებით

დ) სამინისტროს მრგვალი მცირე ზომის ბეჭედი N 4-ის გამოსახულებით

ე) სამინისტროს მრგვალი მცირე ზომის ბეჭედი N 5-ის გამოსახულებით



ზ) არქივის ბეჭედი ნომრებთ N 1 და N 2



ვ) პაკეტის ბეჭედი ნომრებთ 1-დან 4-ის ჩათვლით

დანართი N14

ა) სამინისტროს სრულგერბიანი
მცირე ზომის ბეჭედი N 3

ბ) სამინისტროს სრულგერბიანი
მცირე ზომის ბეჭედი N 4

გ) სამინისტროს სრულგერბიანი
მცირე ზომის ბეჭედი N 5

დ) სამინისტროს სრულგერბიანი
მცირე ზომის ბეჭედი N 6



ე) სამინისტროს სრულგერბიანი
მცირე ზომის ბეჭედი N 7



ვ) საკონსულო ლეგალიზაციის შტამპი

№ _____ — _____ —

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინი
საკონსულო დეპარტამენტი ადასტ
ხელმომწერი პირის უფლებამოსილ
ხელმოწერის ნამდვილობას და უფლებამ
ორგანოს ბეჭდის/შტამპის ავთენტურობას.

THE CONSULAR DEPARTMENT OF THE MINIS
FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA CERTIFIE
AUTHENTICITY OF THE SIGNATURE, THE CA
IN WHICH THE PERSON SIGNING THE DOC
HAS ACTED AND THE IDENTITY OF THE SI
STAMP WHICH IT BEARS.

ა) მეორე ეტაპის ლეგალიზაციის მატერიალური შტამპი

№ _____ — _____ წელი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საკონსულო დეპარტამენტი ადასტურებს
ხელმომწერი პირის უფლებამოსილებას,
ხელმოწერის ნამდვილობას და უფლებამოსილი
ორგანოს ბეჭდის/შტამპის ავთენტურობას.

THE CONSULAR DEPARTMENT OF THE MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA CERTIFIES THE AUTHENTICITY OF THE SIGNATURE, THE CAPACITY IN WHICH THE PERSON SIGNING THE DOCUMENT HAS ACTED AND THE IDENTITY OF THE SEAL OR STAMP WHICH IT BEARS.

ხელმოწერა
Signature _____

_____

_____

ბ) მეორე ეტაპის ლეგალიზაციის ელექტრონული შტამპი

დანართი N16

ა) დიპლომატიური ფოსტის
სრულგერბიანი ბეჭედი

დან

ჩათვლით

ბ) შიდა აუდიტის სამსახურის ბეჭედი
ნომრებით 1-დან 5-ის ჩათვლით

დანართი N17

საწყობის ლუქი (20 მმ)

დანართი N18

ა) საქართველოს საკუთრების დეპარტამენტის სრულგერბიანი მცირე ზომის ბეჭედი (უნიშვნელი)

ბ) შტამპი (ნიმუში/SPECIMEN)

გ) შტამპი (გაუქმებულია/CANCELLED)

საქართველო

22626-01-2-202207281007

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/22626
28/07/2022

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს

ელ. ფოსტა: foi@idfi.ge

თქვენი 2022 წლის 22 ივლისის NFOI07/22-020 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში არ არის დაცული თქვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ვინაიდან სამინისტრო არ აწარმოებს საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების აღრიცხვას/სტატისტიკას.

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი